ბიულეტენი # 5 * აპრილი 2011 * Bulletin # 5 * April 2011

დღეს ნომერშია:

თენგიზ ფხალაძე, რუსული რბილი ძალის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში
გვ. 6
Tengiz Pkhaladze, Politics of Russian "Soft Power" with Respect of Georgia
p. 8
გივი ამირანაშვილი, კონფლიქტების ანალიზისა და ტრანსფორმაციის თეორიული საკითხის შესახებ
გვ. 9
Givi Amiranashvili, On Theoretical Issues of Conflicts' Analysis and Transformation
p.12
გიორგი გვიმრაძე, ჩრდილოეთ კავკასია, როგორც ფაქტორი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში
გვ.13
Giorgi Gvimradze, North Caucasus as a Factor in Georgia-Russio relations
p.16
ნიკა ჩიტაძე, შავი ზღვის რეგიონი: მოთამაშეები და ძალთა ურთიერთქმედება
გვ.18
Nika Chitadze, Key Geopolitical Players of Black Sea Region
p.21
გიორგი ვოლსკი, სამშვიდობო ინიციატივები აგვისტოს ომის შემდეგ: მიზნები და რეალობა
გვ. 23
Giorgi Volski, The Peace Initiatives, Intents and Reality
p.25
გია თარხან-მოურავი, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ახალი თავისებურებები და საქართველო
გვ. 26
Gia Tarkhan-Mouravi, Trends in Turkish Foreign Policy and Georgia
p.28
ნაირა ბეპიევი, ქართულ-ოსური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე
გვ. 35
Naira Bepiev, Georgian -Ossetian Relations Current Stage
p.37

მისია - *შავი ზღვის სამშვიდობო ქსელი*

ეს პროექტი წარმოადგენს მცდელობას, რომ შავი ზღვის რეგიონის კონფლიქტების დარეგულირებაში მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო საზოგადოებამ.

პროექტი მოიცავს შავი ზღვის რეგიონის ოთხ ქვეყანას, სადაც არსებობს შიდაეთნიკური პრობლემები, და მიზნად ისახავს საერთაშორისო საზოგადოებისა და ადგილობრივი სუბიექტების შესაძლებლობების გაზრდას, რომ აწარმოონ დიალოგი და შეასრულონ მედიატორის როლი კონფლიქტების ეფექტურად გადაჭრისათვის. პროექტის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, ასევე – ადგილობრივი თემებისა და რეგიონების სამშვიდობო განვითარება კონფლიქტში მონაწილე მხარეებზე ზემოქმედების და განსხვავებული მიდგომის მეშვეობით.

ამასთან, შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმის მხრიდან არსებობს ფართო ინიციატივა, სამშვიდობო განვითარებისათვის შეიქმნას სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული პლატფორმები, რომლებშიც გაერთიანდებიან ეროვნული ფორუმები. ამ ინიციატივის საშუალებით შესაძლოა ერთმანეთს დაუკავშირდნენ ამჟამად ჩართული არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციები. გარდა ამისა, ეროვნული ფორუმებისთვის ხელსაყრელი იქნება კრიზისების მართვის ინიციატივის აღება, რაც მიზნად ისახავს რეგიონული ფასილიტატორობის გზით არასამთავრობო ორგანიზაციებს, მთავრობასა და ევროკავშირს შორის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფას *(გაგრძელება გვ.2).*

Mission statement - ***Black Sea Peacebuilding Project***

The project represents attempt focusing on civil society contribution to conflict resolution in the Black Sea area.

The project embraces 4 countries of the Wider Black Sea region suffering from the internal ethnic conflicts, aims at enhancing the capacity of the international community and local actors in enacting mediation and dialogue for effective conflict resolution. The purpose is to strengthen society and peace-building in local communities and regions by seeking to influence and change attitudes of conflict parties.

A further contextual point is that there is a broad initiative by the Black Sea NGO Forum to build up the civil society regional platforms for peacebuilding which will include national forums. This initiative might serve as a connection point in order to establish ties between the current involved NGOs and further organisations. (cont. p.2)

კონფლიქტების ანალიზისა და ტრანსფორმაციის თეორიული საკითხების შესახებ

გივი ამირანაშვილი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობის მიუხედავად, შეიარაღებული კონფლიქტები თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების თანმდევ მოვლენას წარმოადგენს და საფრთხეს უქმნის როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო უსაფრთხოებას.

მართალია, დღევანდელი კონფლიქტების მეტი წილი თვით სახელმწიფოს შიგნით მიმდინარეობს, ვიდრე სახელმწიფოთა შორის, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი სახის კონფლიქტებს განუმეორებელი სისასტიკე ახასიათებს და, სამწუხაროდ, მათთან ახლავს ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების უხეში დარღვევა. ასეთი კონფლიქტების სხვა მახასიათებლებია სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მსხვრევა, განსაკუთრებით სასამართლო სისტემისა და პოლიციის, რაც მმართველობის პარალიზებას, მართლწესრიგის მოშლას და ქვეყანაში საერთო ქაოსსა და ნგრევას იწვევს.

სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საკვანძო საკითხების გააზრებას. ამისთვის კი აუცილებელია მოხდეს კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების დეტალური ანალიზი, რათა შემუშავდეს ადეკვატური ღონისძიებები კონფლიქტების თავიდან აცილებისა ან უკვე შემდგარი კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით.

ამ დარგის ექსპერტები განასხვავებენ შიდა კონფლიქტისა და ზოგადად სახელმწიფოს დაუძლურების 12 მთავარ ინდიკატორს, რომლებსაც პირობითად ყოფენ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ/სამხედრო ინდიკატორებად.

- **სოციალური ინდიკატორებიდან** აღსანიშნავია: ტერიტორიის დემოგრაფიული სიმჭიდროვე; ლტოლვილების ან იძულებით გადაადგილებულ პირთა მასობრივი გადადგილება, რომელმაც შესაძლოა რეგიონში შექმნას ჰუმანიტარული თვალსაზრისით გაუთვალისწინებელი გარემოებები; განაწყენებული და შურისძიებით გამსჭვალული ჯგუფების მემკვიდრეობითობა ან გარკვეული ჯგუფების პარანოია; ადამიანთა ჯგუფების მუდმივი და ხანგრძლივი მიგრაცია.

- **ეკონომიკური ინდიკატორებიდან** გამოსაყოფია: მოსაზღვრე/მომიჯნავე ჯგუფების უთანასწორო ეკონომიკური განვითარება და ზოგადად ძლიერი ეკონომიკური ვარდნა.

- **პოლიტიკურ/სამხედრო ინდიკატორებს** განეკუთვნება: სახელმწიფოს დელეგიტიმიზაცია და/ან კრიმინალიზაცია; საჯარო სტრუქტურების მზარდი სტაგნაცია; კანონის უზენაესობის პრინციპის თვითნებური გამოყენება ან შეჩერება და ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევა; უშიშროების სამსახურების საქმიანობა, როგორც ,,სახელმწიფო სახელმწიფოში"; ფუნქციონალური ელიტის დაწინაურება; უცხო ქვეყნის ან საგარეო პოლიტიკური მოთამაშეების ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ინდიკატორების შესწავლასა და გაანალიზებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამშვიდობო ღონისძიებების წარმატებით განხორციელების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, სამშვიდობო ღონისძიებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია "მშვიდობის მშენებლობის" (peacebuilding) პოლიტიკას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს მდგრადი პოლიტიკური, სამხედრო, უსაფრთხოების, ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების ერთობლივ განხორციელებას. აღნიშნული კი წარმოუდგენელია პრობლემის არსებითი გააზრების, კონფლიქტების ძირეული მიზეზების შესწავლისა და მათ საფუძველზე მომზადებული დასკვნებისა თუ რეკომენდაციების გარეშე.

„მშვიდობის მშენებლობის" კონტექსტში განიხილავენ სიტუაციის გამოსწორებისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის **12 მთავარ ინდიკატორს**. ამ ინდიკატორების მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და კონფლიქტების პოლიტიკურ მოწესრიგებას. ეს ინდიკატორები ცალსახად არ მიუთითებენ იმას, რომ კონფლიქტის ძირეული მიზეზები აღმოიფხვრება. თუმცა, ისინი არსებითად დაეხმარება ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებას პრობლემის დარეგულირებაში. ეს ინდიკატორებია:

- **სოციალური ინდიკატორებიდან** გამოსაყოფია: დემოგრაფიული სიმჭიდროვის შესუსტება კონფლიქტის რეგიონში; ლტოლვილების ან იძულებით გადაადგილებული პირების თავიდან განსახლება ჰუმანიტარული კატასტროფის აღმოფხვრის მიზნით; შურისძიებით გამსჭვალულ ჯგუფებს შორის შერიგების წახალისება და მტრულად განწყობილი ჯგუფების შემცირება; იმიგრაციის დონის შემცირება.

- **ეკონომიკური ინდიკატორებიდან** აღსანიშნავია: გაწონასწორებული ეკონომიკური განვითარება რეგიონებში და ჯგუფებს შორის შემოსავლების უთანასწორობის შემცირება; ეკონომიკური ზრდა და სიმდიდრის გადანაწილება.

- **პოლიტიკური/სამხედრო ინდიკატორები** ითვალისწინებს: სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას ხალხის წარმომადგენლობის პრინციპით; ძლიერი საჯარო სტრუქტურების დაფუძნებას და/ან განმტკიცებას; კანონის უზენაესობის ბაზისის შექმნას და ადამიანთა უფლებათა დარღვევის ფაქტების შემცირებას; სამოქალაქო საზოგადოების მიერ კონტროლირებული პროფესიული სამხედრო და უშიშროების სამსახურების შექმნას; ისეთი ნაციონალური ლიდერების წინა პლანზე წამოწევას, რომლებიც ასეთ ჯგუფებში ავტორიტეტით სარგებლობენ; უცხო ქვეყნის ან საგარეო პოლიტიკური მოთამაშეების ჩარევის შესაძლებლობების აღმოფხვრას ან შემცირებას.

გარდა ამისა, პოსტკონფლიქტური ღონისძიებების წარმატებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება „მშვიდობის მშენებლობის“ პროცესში მონაწილე სუბიექტებისთვის ადეკვატური სამშვიდობო სტრატეგიისა და მეთოდების შერჩევას. ამ თვალსაზრისით განიხილავენ პოსტკონფლიქტურ ღონისძიებებში მაღალი, საშუალო და ქვედა დონის ხელმძღვანელების მონაწილეობის მნიშვნელობას და მათ როლს კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით.

მაღალი რანგის ხელმძღვანელობისთვის, რომელსაც შეიძლება მივაკუთვნოთ სამხედრო, პოლიტიკური და რელიგიური ლიდერები, მიზანშეწონილია ფოკუსირების მოხდენა მაღალი დონის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე და ცეცხლის შეწყვეტის მიზნით აქტიურ ძალისხმევაზე;

საშუალო რანგის ხელმძღვანელობა: ამ კატეგორიის ლიდერებიდან აღსანიშნავია ეთნიკურ/რელიგიური ლიდერები, აკადემიური წრეები/ინტელექტუალები, არასამთავრობო ორგანიზაციებში და ჰუმანიტარულ სფეროში მოღვაწე ლიდერები.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის სტრატეგიულ-ტაქტიკური და შედეგობრივი თვალსაზრისით უპრიანია ამ ტიპის ლიდერებმა აქცენტი გააკეთონ სახალხო დიპლომატიის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა ტრეინინგების/სემინარების ჩატარება კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მონაწილეობით, საზოგადოებრივი ჯგუფების აქტიური მონაწილეობა სახალხო დიპლომატიის მიმართულებით. მიზანშეწონილია ე.წ. peace stories (ანუ სხვადასხვა ისტორია, რომლებიც დაპირისპირებულ მხარეთა შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობების/ქმედებების შესახებ მოგვითხრობს) შესახებ სპეციალური სიუჟეტების მომზადება და გაშვება რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით. მიზანშეწონილია არასამთავრობო სექტორის ქსელური და აქტიური მუშაობა მხარეთა შერიგების მიზნით.

იმისათვის, რომ მშვიდობა იყოს მდგრადი და სტაბილური, ხოლო სამშვიდობო პროცესი წარმატებული, აუცილებელია მასში კონფლიქტის ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინება. ამდენად, სამშვიდობო მოლაპარაკებები შეიძლება იყოს მართლზომიერი და შედეგიანი, მხოლოდ მაშინ, როცა ხდება მხარეთა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინება, უშუალო კონტაქტების დამყარება ურთიერთსაწინააღმდეგო პრეტენზიების გამოვლენის მიზნით, სადავო საკითხებთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა და დავების გადასაწყვეტად ურთიერთმისაღები პირობების შემუშავება.

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს წარმატებული სამშვიდობო შეთანხმება

გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები:

- **მზაობა მშვიდობის მიღწევისათვის:** კონფლიქტის გააზრება; გეგმის შედგენა; რაიმე სახის მანდატის მოძებნა საკუთარ გუნდში; კონფლიქტის მეორე მხარეს ისეთი პირის მოძებნა, ვისთანაც შეიძლება საუბარი, უმჯობესია სათანადო მანდატის მქონე.

- **მხარეთა მოთხოვნების/მოლოდინებისა და წუხილის გამოვლენა და შესწავლა**: ფოკუსირება მხარეთა მოთხოვნების აღქმაზე/შეცნობაზე; საკითხის გააზრება და მონდომება შეხედო მას სხვა მხარის პოზიციიდან.

- **მხარეთა მოთხოვნებისა და უფლებების აღიარება**: გულწრფელი მზაობა სხვა მხარის მოთხოვნების გამოსაკვლევად; გულწრფელი მზაობა მოლაპარაკებისთვის რაიმე ვალდებულებების გარეშე; აღიარება იმისა, რომ გესმის სხვისი მოთხოვნილებები; მას შემდეგ, რაც „აღიარებ“ სხვის მოთხოვნებს, შეეცადო ამის შემდეგ წარმოადგინო საკუთარი მოთხოვნები.

- **ძალდატანების კონტროლი**: ძალდატანება უნდა იყოს მინიმალური, მიზანი კი - შეთანხმება და ცეცხლის შეწყვეტა.

- **მოლაპარაკებებში ჩართვა/აქტიური მონაწილეობა**: მოლაპარაკების მთავარი საკითხის გამოვლენა და განსაზღვრა; ერთმანეთის ინტერესების გამოვლენა და გაგება; არჩევანის/წინადადებების გამოკვეთა და თავმოყრა; სამართლიანობის დაცვა; ობიექტური კრიტერიუმების გამოყენება.

გარდა ამისა, საექსპერტო წრეებში განიხილავენ ინტერესებზე ორიენტირებული მოლაპარაკებების (როგორც კონფლიქტის ტრანსფორმაციის განმსაზღვრელი ფაქტორი) ძირითად ელემენტებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ სამშვიდობო შეთანხმების წარმატებულობას, ეს ელემენტებია:
- ფოკუსირება **საკითხზე** და არა პერსონალიაზე.

- **მომზადება გულდასმით** და ინფორმაციის გაცვლა საერთო გაგების გასაძლიერებლად.

- ფოკუსირება მხარეთა **ინტერესებზე** და არა მათ პოზიციებზე.

- მრავალმხრივი **არჩევანის/წინადადებების** შეთავაზება, რათა დაკმაყოფილდეს ორმხრივი და მხარეთა საკუთარი ინტერესები.

- წინადადებების შეფასება **მაგალითებით** და არა მუქარით.

- საკუთარი **საუკეთესო ალტერნატივის** ცოდნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ წარმატებულია სამშვიდობო შეთანხმება, თუკი იგი:

- **არის მყარი** და ხანგრძლივი ვადით დადებული;

- ასახავს ყველა **მხარის ინტერესებს**;

- **არის ლეგიტიმური**; დადებულია ძალისა და მანიპულაციის გარეშე;

- შეინარჩუნებს და, თუ შესაძლებელია, განამტკიცებს **მხარეებს შორის ურთიერთობას**;

- **არის შესრულებადი** (ამომრჩევლებმა უნდა მოიწონონ და შემდგომში მოხდეს მისი რატიფიცირება);

- არის **სამართლიანი, გასაგები და სრულყოფილი**;

- არის **ეფექტური/ქმედითი** (ეფუძნებოდეს მხარეების საუკეთესო წინადადებებს; უნდა შეიცავდეს ყველა საკითხს, რომელიც წამოიჭრა მოლაპარაკების პროცესში);

- ხელს შეუწყობს ინტერესებზე ორიენტირებულ **სხვა სახის მოლაპარაკებას**;

შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმების სტაბილურობა და ზოგადად კონფლიქტის საბოლოო ტრანსფორმაცია მნიშვნელოვნადა განპირობებული იმით, თუ რამდენად წარმატებულად იქნება დაცული სამშვიდობო მოლაპარაკებისას ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრები.

საერთო ჯამში, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება და სამშვიდობო ღონისძიებების განხორციელება მრავალ ფაქტორთანაა დაკავშირებული, თუმცა არსებობს კონფლიქტის ტრანსფორმაციის გარკვეული თეორიული ასპექტები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში იზრდება კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის შესაძლებლობები.